# ფინანსური ბაზრის როლი საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებაში განვითარებად ქვეყნებში (საქართველოს მაგალითზე)

**ანზორი ბუკია**

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილია სახელმწიფო

უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების

ფაკულტეტის ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრის (საბანკო და საფინანსო საქმეში)

აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: საბანკო და საფინანსო საქმე

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნიკოლოზ ყაველაშვილი, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი

**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**თბილისი, 2023**

# განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ანზორი ბუკია

11.06.2023

# აბსტრაქტი


თანამედროვე ფინანსური სისტემა და საინვესტიციო გარემო საკმაოდ მრავალფეროვანია მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. ეს მრავალფეროვნება საკმაოდ ცვალებადია და დამოკიდებულია ბევრ ისეთ მნიშვნელოვან ფაქტორზე, როგორიცაა: თანამედროვე ტექნოლოგიები, უცხოური ინვესტიციები, ღია საბაზრო ურთიერთობების გაღრმავება, განვითარებული ფინანსური ბაზრები და სხვა. ნებისმიერი ქვეყნის ფინანსური სტაბილურობისთვის და ფინანსური გარემოს მდგრადობის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია ფინანსური ბაზრების განვითარება. მათი როლი განსაკუთრებულია ქვეყანაში, რადგანაც განვითარებული ფინანსური ბაზარი ხელს უწყობს უცხოური კაპიტალის შემოდინებას ქვეყანაში, იზრდება ადგილობრივი ინვესტორების მოტივაცია დაზოგონ მეტი და განახორციელონ მომგებიანი ინვესტიციები ბაზარზე არსებულ ფასიან ქაღალდებსა და სხვა ფინანსურ ინტსრუმენტებში, თავის მხრივ კომპანიებსაც უჩნდებათ დაკრედიტების უფრო მომგებიანი ალტერნატიული საშუალებები ბაზარზე, რაც მკვეთრად აუმჯობესებს და ზრდის მათი ფუნქციონირების ხარისხს და ეხმარება ბიზნესს საქმიანობის მეტად გაფართოებაში, რაც საბოლოოდ ქვეყნის ეკონომიკაზეც დადებითად აისახება.

ნაშრომის ძირითადი საკვლევი თემა დაკავშირებული იყო იმასთან, თუ რა როლს ასრულებს ფინანსური ბაზარი განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკურ და ფინანსურ სტაბილურობაში, ასევე მათი საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებასა და ზოგად ეკონომიკურ განვითარებაში ამ მიმართულებით. ასევე კვლევის ფარგლებში დიდი ყურადღება დაეთმო საქართველოს, როგორც განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნის მდგომარეობის შეფასებასა და ანალიზს ზოგადად ფინანსური ბაზრის განვითარების მიმართულებით, ქვეყანაში არსებული საფონდო ბირჟის მონაცემების დამუშავებას აქციათა და ობლიგაციათა ბაზრებზე არსებული სავაჭრო პოლიტიკის კუთხით, ფინანასურ ბაზარზე არსებული გამოწვევების განსაზღვრას და საჭირო რეკომენდაციების შემუშავებას შემდგომი გაუმჯობესებისთვის. ყოველივე ამ ინფორმაციის მოპოვებისა და

დამუშავებისათვის გამოყენებულ იქნა თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგია, ხოლო უშუალოდ აღნიშნული კვლევა კი მოიცავდა მეორადი მონაცემების ანალიზს, ამ შემთხვევაში ძირითადი სტატისტიკური ინფორმაციის გაანალიზებას ქვეყანაში არსებული მდგომარეობის მიხედვით, მეორე მოდელი კი მოიცავდა სიღრმისეული ინტერვიუს მეთოდს, სადაც ექსპერტთა გამოკითხვის შედეგებით გამოიკვეთა მნიშვნელოვანი ტენდენციები საქართველოში არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა ქართულ საფონდო ბაზარზე არსებული მდგომარეობა აქციებითა და ობლიგაციებით ვაჭრობის კუთხით, შეფასდა ბოლო რამოდენიმე წლის მანძილზე ბირჟაზე არსებული მდგომარეობა გარიგებების რაოდენობის თვალსაზრისით, დადგინდა რომ 2007 წლიდან მოყოლებული აღინიშნება ბირჟაზე დადებული გარიგებების კლების ტენდენცია, ანუ მცირდება აქციებით და ობლიგაციებით ვაჭრობის მაჩვენებლები. რაც შეეხება სიღრმისეულ ინტერვიუს მისი მეშვეობით დადგინდა ფინანსური ბაზრის განუვითარებლობის ძირითადი მიზეზები საქართველოში, ამ მიმართულებით არსებული ხარვეზები და გამოწვევები, რომელთა საფუძველზეც დაისახა სამომავლო რეკომენდაციები მათი შემდგომი გამოსწორებისა და ნაკლოვანებების აღმოფხვრის თვალსაზრისით, რათა ხელი შეეწყოს სწორი პოლიტიკითა და მიდგომით ფინანსური ბაზრების განვითარებას, რაც საერთო ჯამში გაზრდის ინვესტიციების მოცულობას ქვეყანაში და ამით გააუმჯობესებს საინვესტიციო გარემოს შესაბამისად.

თემატური საძიებო სიტყვები: ფინანსური ბაზარი, ფასიანი ქაღალდი, საფონდო ბირჟა, აქციათა ბაზარი, ობლიგაციათა ბაზარი.

# Abstract

The modern financial system and investment environment are quite diverse in many countries of the world. This variety is quite variable and depends on many important factors, such as: modern technologies, foreign investments, deepening of open market relations, developed financial markets and others. The development of financial markets is important for the financial stability of any country and for ensuring the stability of the financial environment. Their role is special in the country, because the developed financial market promotes the inflow of foreign capital into the country, the motivation of local investors to save more and make profitable investments in securities and other financial instruments available in the market increases, On the other hand, more profitable alternative means of lending appear on the market for companies, which dramatically improves and increases the quality of their operations and helps businesses expand their activities, which ultimately has a positive impact on the country's economy.

The main research topic of the paper was related to what role the financial market plays in the economic and financial stability of developing countries, as well as in the improvement of their investment environment and general economic development in this direction. Also, within the framework of the research, much attention was paid to the evaluation and analysis of the state of Georgia as a country with a developing economy in the direction of the development of the financial market in general, processing the data of the stock exchange in the country in terms of the trading policy on the stock and bond markets, Identifying the challenges in the financial market and developing the necessary recommendations for further improvement. Qualitative research methodology was used to obtain and process all this information, And the directly mentioned research included the analysis of secondary data, in this case the analysis of basic statistical information according to the current situation in the country, The second model included the in-depth interview method, where the results of the expert survey revealed important trends regarding the current situation in Georgia.

As a result of the research, the current situation in the Georgian stock market in terms of shares and bonds trading was identified, the situation in the stock exchange over the last few years was evaluated in terms of the number of transactions, It was determined that since 2007, there has been a downward trend in transactions concluded on the stock exchange, i.e., the indicators of trading in shares and bonds are decreasing. As for the in-depth interview, the main reasons for the underdevelopment of the financial market in Georgia were determined through it, the gaps and challenges in this direction, on the basis of which future recommendations were made in terms of their further correction and elimination of shortcomings, to facilitate the development of financial markets with the right policies and approach, which will overall increase the volume of investments in the country and thereby improve the investment environment accordingly.

key words: financial market, securities, stock exchange, stock market, bond market.